"მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გაზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №10 (288) 23 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

დემოკრატიის პარადოქსები

„ოცნებამ" ის მაინც მოახერხოს, „ნაცები" არ დააბრუნოს ხელისუფლებაში და საბოლაოდ არ ახდეს „ნაცების" ოცნება „მართლმადიდებელი" სააკაშვილი ჯვაროსნულ ლაშქრობას ბებმავს ბოჭკიას წინააღმდეგ,

ეშმაკსაც წაუღია ორივე,და ყველა ის, ვინც ღმერთს და კაცობასაა ამოფარებული

იხ-2 გვ

ღია წერილი საქართველოს პრემიერს, ბატონ გიორგი გახარიას

ანაკლია-ფოთი, - მითი და რეალობა

ქ.ფოთი და ნავსადგური ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი.

ფოთის, ნავსადგურისა და ქვეყნის განვითარების ერთიანი კომპლექსური პროგრამა-ახალი საწარმოები-ახალი სამუშაოები

იხ-2 გვ

ფოთში იწყება ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა

იხ-3 გვ

გზა დავულოცოთ ახალი გამარჯვებებისაკენ „პირველი მერცხალის" შთამომავლებს

ფოთის ცენტრალურ სტადიონზე ევიდი წლის შემდეგ პირველი მატჩი ჩატარდა

იხ-3 გვ

ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების პრეზენტაცია

დიდი ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 176 წელი აღინიშნა

იხ-4 გვ

პოეზიის ფესტივალი და ტურნირი- „ოქროს ლოქო-2019"

იხ-4 გვ

ფოთის მერიამ განსახორციელებელი პროექტები მოსახლეობას გააცნო

იხ-4 გვ

ფოთში ახალი ქარხნის მშენებლობის საკითხი განიხილება

იხ-4 გვ

ნანა ალექსანდრიას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

იხ-8 გვ

საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას

ქვეყნის სიმდიდრე და მომავალი მრავალშვილიანობაა

ბიზნესმენი და ქველმოქმედი

ნოდარ კორსანტია

ომარ უჩანეიშვილისა და თამილა კირთაძის 12 შვილიან ოჯახს დაეხმარა

მიბაძეთ!

იხ-6 გვ

მილოცვა

ჟერონ შუბითიძე-75

იხ-5 გვ

ცხოვრების გაკვეთილები ბიზნესმენთათვის

დაგვიანებული სამადლობელი ფეხბურთის დიდ გულშემატკივარს და მეცენატს დავით კუპრეიშვილს

პაიჭაძის ქალაქში ასე არ უნდა უქირდეს ფეხბურთს

იხ-5 გვ

რუსთველის ეზოთერული ცოდნის ახსნა „ვეფხისტყაოსანში" (ძეგლში დაფლული ღვთის საიდუმლოებანი)

იხ-7 გვ

ფოთში პედაგოგის დღე აღინიშნა

2019 წლის საუკეთესო პედაგოგები დაჯილდოვდნენ

იხ-4 გვ



ფოთელი სპორტსმენი ელიზბარ თურქია მსოფლიო ჩემპიონია!

იხ-8 გვ

მურმან მალანიამ 2000 დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა

იხ-8 გვ

ღია წერილი საქართველოს პრემიერს, ბატონ გიორგი გახარიას

ანაკლია-ფოთი, - მითი და რეალობა

ქ.ფოთი და ნავსადგური ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი.

ფოთის, ნავსადგურისა და ქვეყნის განვითარების ერთიანი კომპლექსური პროგრამა-ახალი საწარმოები-ახალი სამუშაოები

30 წელია ერთი საარჩევნო კამპანიას ცვლის შემდგომი, საარჩევნო პროგრამები კი შეუსრულებელი რჩება. რიგითი ადამიანების ცხოვრების პრობლემები ღრმავდება. პირველ რიგში ეს ეხება სამუშაო ადგილებს ქალაქში და ნავსადგურში.

ნავსადგურის პრივატიზაციის შემდეგ განახევრდა იქ მომუშავეთა რიცხოვნობა, მე თავიდანვე ვცდილობდი დამეცვა მათი უფლებები.

კარსმომდგარი ახალი საარჩევნო კამპანიის წინ საჭიროა ფოთელები დავფიქრდეთ და ვუთხრათ არა მორიგ ცრუ პოლიტიკურ დაპირებებს - დიახ რეალურ პროგრამებს, რომელიც მოგვცემს ღირსეული ცხოვრების საშუალებას.

ჩვენ გვაქვს ასეთი პროგრამა ფინანსური უზრუნველყოფით, სახელმწიფოსაგან გვჭირდება მხოლოდ თანხმობა და მხარდაჭერა.

პროგრამაში წარმოდგენილია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა და ის მიმართულია რიგითი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, გათვალისწინებულია პენსიონერებისათვის და შრომის უუნარო ადამიანებისათვის სპეციალური, ინტენსიური სოციალური პროგრამების განხორციელება. ჩვენ ვითხოვთ ჩვენი 21 პუნქტიანი პროგრამას განხორციელებისათვის ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერას:

1. ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობა თხევადი ტვირთების ტერმინალებით.
2. დიდი კუნძულის უბნის აღდგენა ახალი ბულვარის საზღვრებში, მთელი სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა
3. საოკეანო თევზჭერის აღდგენა, თევზის გადამამუშავებელი საწარმოების აგება.
4. საზღვაო სივრცეში და მტკნარწყლიან წყალსაცავებში ძვირფასი თევზის ჯიშის სამრეწველო წარმოების აღორძინება.
5. ქვიშისაგან სხვადასხვა საამშენებლო მასალების და კერამიკული ნაწარმის წარმოების შექმნა.
6. ნავსადგურის მშენებლობის პარალელურად 27 მეგავატი სიმძლავრის ქარის ელსადგურის მოწყობა.
7. პირველად პრაქტიკაში ნავმისადგომების მშენებლობა ხმელეთის სიღმეში, რაც შეამცირებს საამშენებლო ხარჯებს.
8. ფოთის ეკონომიკის განვითარების კონცეფცია ჩვენს მიერ შემუშავებულია და გადაცემულია ხელისუფლებისათვის 2017 წლის 23 ივლისს.
9. ,,აბრეშუმის გზის" პროექტის შესახებ 2017 წლიდან ჩინელ ბიზნესმენებთან ვაწარმოებთ მიმოწერას, ამ პროექტში აგრეთვე შედის არხი ,,ფაზისი"-მშენებლობის წინადადება გადაცემულია თბილისში შემდგარი ,,აბრეშუმის გზის" I ფორუმის პრეზიდიუმისათვის.
10. შემოვდივართ წინადადებით შემუშავდეს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა. რაც მოგვცემს საშუალებას გადაიქცეს ჩვენიო ქალაქი საქართველოს საზღვაო ჭიშკრად და ეკონომიკურ დედაქალაქად.
11. შემოვდივართ წინადადებით შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმიდან ანაკლიამდე სატრანსპორტო არტერიის განვითარებისათვის შეიქმნას საზღვაო ტრანსპორტის მიმოსვლისათვის აუცილებელი ინფროსტრუქტურა, მათ შორის ფოთში.
12. შემოვდივართ წინადადებით მალთაყვის საკურორტო ზონის კეთილმოწყობათან დაკავშირებით, სადაც უნდა მოეწყოს საიალქნო კლუბი, საცურაო აუზი, ბავშვთა რკინიგზა, საფეხმავალო ხიდი რიონზე, რომელიც დაკავშირებას მალთაყვის ზონას დიდი კუნძულის საზღვაო ბულვართან.
13. შემოვდივართ წინადადებით ნაბადის უბნის განაპირას განთავსდეს სამრეწველო საწარმოები და საწყობები თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის.
14. შემოვდივართ წინადადებით გამოყენებული იყოს ნაბადის უბნის კუნძული ნავთობპროდუქტების და გაზის შესანახი სათავსოებისათვის მათ შორის ამჟამად ბათუმში და ყულევში დასაწყობილებული ტვირთებისათვის.
15. შემოვდივართ წინადადებით მდინარე რიონზე დაიწყოს ფოთიყულევის დამაკავშირებელი ხიდის რეკონსტრუქცია.
16. შემოვდივართ წინადადებით აღსდგეს გემების რემონტი.
17. ხობი-სენაკის კარიერის მთელი სიმძლავრით ამუშავება რაც მოგვცემს საშუალებას შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები
18. შეიქმნას ფოთში სანაპირო ზოლის დაცვის მიზნით ,,სანაპიროდაცვა" და ,,საზღვაომშენი"
19. უნდა დაიწყოს ფოთში მწვანილების, ბოსტნეულის და ყვავილების სასათბურე მეურნეობების მოწყობა.
20. ახალ პორტთან დაკავშირებით მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადება, რომელშიც უნდა იყოს გათვალისწინებული:
   - ნავსადგურის მშენებლობისათვის სამთავრობო კომისიის შექმნა
   - პროექტის შემუშავება
   - მშენებლობის საკითხები
   - მიწის ფართის გამოყოფა ნავსადგურის მშენებლობისათვის
   - ინვესტიციის მოზიდვა და მათი სახელმწიფოებრივი დაცვა
   - ნავსადგურში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა.
21. ნავსადგურის მშენებლობისთვის საქართველოს მთავრობის მიმართ თხოვნაა:
   - სტატუსის განსაზღვრა
   - შესაბამისი კანონების მიღება
   - პროექტის მხარდაჭერა ყველა ეტაპზე, ფოთის ახალი პორტის მშენებლობის საკითხის გადაჭრა ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. აქ იკვეთება ევროპისა და აზიის გზები (აბრეშუმის გზა) და მისი გამოუყენებლობა დანაშაული იქნებოდა. ტვირთნაკადები ჩრდილოეთ აზიიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან კასპიის ზღვის, შავი ზღვისა და მდინარე დუნაის გზით ევროპის შუაგულამდე აღწევს.

ამავე გზით შესაძლებელია ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობპროდუქტების და თურქმენეთის გაზის



ტრანსპორტირება. ეს გზა უმოკლესი და უიაფესია და მისი გამოუყენებლობა აგრეთვე დანაშაულია.

რაც მთავარია, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ვაიძულოთ ნავსადგურის დღევანდელი მფლობელები მიიღონ ჩვენი წინადადებები.

სხვა გამოსავალი მათ არ გააჩნიათ!!!

მათ არ შეუძლიათ ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობა (არ გააჩნიათ ამის პირობები)

ჩვენ უნდა დავსახოთ გენერალური მიმართულება სრული ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის მოსაპოვებლად:

- ნეიტრალიტეტი
- არხი ,,ფაზისი-2" მშენებლობა აზიის ქვეყნებს და რუსეთის ჩართვით
- აგრარული ქვეყანა
- სასმელი წყალი (მსოფლიოს მთავარი ვალუტა)

უკვე 30 წელია სამთავრობო სტუქტურები ამ საკითხებით არ ინტერესდებიან.

ისტორიულად საქართველო იყო არის და იქნება სატრანზიტო ქვეყანა.

ერთიანი კავკასია საქართველოს გარეშე არ არსებობს.

კავკასია კავკასიელი ხალხის საერთო სახლია.

მოდით ვისარგებლოთ ამ იდეის სრული მაშტაბით.

P.S. ქვეყნის და ქალაქის სასიცოცხლო საკითხები არ უნდა წყდებოდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონეზე. ფოთელები მეტ ყურადღებას იმსახურებენ, რათა ის მთავრობის მეთაურამდე მივიდეს.

დემოკრატიის პარადოქსები

,,ოცნებამ" ის მაინც მოახერხოს, ,,ნაცები" არ დააბრუნოს ხელისუფლებაში და საბოლოოდ არ ახდეს ,,ნაცების" ოცნება

,,მაჰთიმალიდებელი" საკასაშვილი ჯვაჩოსნელ ღაშქრობას ბებმავს ბოტეჩიას წინააღმდეგ,

ეშმაკსაც წაულია ორივე,და ყველა ის, ვინც ღმერთს და კაცობასაა ამოფარებული

კარგი სატყუარა გამოდგა დემოკრატია ხალხისთვის-თქვენი ძალაუფლება ვისაც გინდათ გადაეცით, აი, ეს ვისაც გინდათ არ გამოგვადგა. იმის ღირსი ვართ, რასაც ვირჩევთ, რაც გვჭირს და რაც მოგვივა კიდევ. ანუ ,,რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო"- ანუ შენი უთაობითაო, რადგან მთელი ცხოვრება ვიდაცის კარნახით დადიხარ. ჩვენმა არჩეულმა მთავრობებმა პირად ინტერესებს შეწირეს ქვეყანა და ხალხი ამ მიზნის მიღწევის საშუალება გახდა.

სააკაშვილს თუ უნდა ,,ოცნებას" ხმა არ მისცენ, პოლიტიკას და არჩევნებს დროებით მაინც მოეშვას, 10 წელია საფრთხობელას როლშია, ხალხმა არ იცის რა ქნას, ვის ენდოს. ,,პატრიოტთა ალიანსი" თანდათან კარგავს ხალხის ნდობას. რამეთუ ამდენი მიტინგებით მთავრობის დაშინებას შედეგი არ მოაქვს, გამოდის თავს იცავენ, ან სატელიტები არიან-რევოლუციურ სულისკვეთებაში ინიციატივას იღებენ და ,,ნაცებს" ჯაბნიან, რადგან ამათ ხალხის გაჭირვებაზე კივილ-წივილის უფლება არა აქვთ და არც არავინ დაუჯერებს. 30 წლის შემდეგ მაინც უნდა დამთავრდეს ქვეყნის პარტიული გადანაწილებისათვის ბრძოლა. ასე სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება. ახლა, ჩვენ ვართ ხელისუფლებაში!. ახლა ჩვენი დროა! თან ,,ნაცები" მდინარეში მეორეჯერ აპირებენ შესვლას და ქვეყნის და ხალხის გაუბედურების დიდი გამოცდილებაც აქვთ. ქვეყანა, ხომ ერთია -ერთი მოსახლეობით, ერთი ეკონომიკით, ერთი კანონებითა და ტრადიციებით. რამდენ ტვინგადაბრუნებულს აზრი მოუა, ისე არ უნდა იცვლებოდეს წარამარა, ხან ევროპის, ხან ამერიკის მოშველიებით. იქ არის სახელმწიფოები თავისი მყარი ინსტიტუტებით, წესით და რიგით, და პარტია ხელს უწყობს მის შენარჩუნება განვითარებას. სახელმწიფო ინსტიტუტები, ბანკები ყოველნაირად ეხმარებიან ადამიანებს, ისე კი არასულს რომ ართმევენ, სახლს გააყიდინებენ და მერე ხმებს თხოვენ, რათა კიდევ უფრო ,,გააბედნიერონ".

30 წელია დემოკრატიის საფარქვეშ მიდის ბრძოლა ქვეყნის ქონების გადანაწილებისათვის. ხალხი გაჭირვებისგან გმინავს. დამნაშავე არავინაა. ან რომელი მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგნენ სავარაუდო დამნაშავეები მურუსიძე-ჩინჩალაძეები? აქაც თავდაცვის მექანიზმია ჩადებული. თუ ,,ნაცებს" ემსახურეთ, ჩვენ რით ვართ ნაკლებიო. ან იმაზე რა უნდა ითქვას, ბოკერია, რომ იძლევა გარანტიებს, არავის არ დავიჭერთო. რომელი მოსამართლე ან პროკურორი ეს არის განსაზღვროს ვინაა კორუმპირებული და ვინ არა. ჩვენ შურს არ ვიძიებთო. რაც მაგათ ხალხზე შური იძიეს ხახვივით შერჩათ და ბევრ თაობებს ეყოფათ.

ქვეყანაში, რომ მართლაც დამოუკიდებელი სასამართლო ყოფილიყო, დროზე დაეჭირა ქვეყნის დამაქცევარები. დღეს სხვაგვარად იქნებოდა საქმე. ბევრი მათგანი დღესაც არ აღიარებს სააკაშვილის და მისი ბანდის მორჩილებას. თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ან თავს ისულელებენ ან ქვეყანა ჰგონიათ სულელი. ასეთებს ხალხმა უნდა მოუწყოს მორალური სასამართლო, მათ ხალხი უნდა ირჩევდეს. ალბათ ახალი თაობა ბევრ რამეს შეცვლის ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან. რუსებით გამწარებული ხალხის გამო ,,წუხან" ,,ნაცები"? 10 წელი ერთი ნაბიჯი გადაიდგა თუნდაც იმისთვის, რომ დღეს საზღვარზე ეს სიტუაცია არ იყოს, იმ საზღვარზე რომელიც სააკაშვილმა დააკანონა და ამ დღეში ჩააგდო ხალხი, სამხრეთ ოსეთის აღიარებით-სამაჩაბლოს -შიდა ქართლის სახელწოდების უგულვებელყოფით. ამ უზარმაზარ სახელმწიფოსთან ბრძოლა ჩვენსავით პატარა და უეკონომიკო ქვეყნის საბოლაო დასამარება იქნება. სწორედ, ამ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება უნდა იყოს ყველას მიზანი. ყველა პარტიისა და მოძრაობის, და არა პოლიტიკური კინკლაობა მისი შემდგომი დანაწევრებისათვის. ღმერთსა და რწმენას ეპოტინებიან, ენის მამულის და სარწმუნოების მტრები. ნუთუ შეიძლება ყველაფერი იკადრო სკამისა და თანამდებობისათვის. ქართველებს არც ევროპელლობა ესწავლებათ და არც ცივილიზაცია აკლიათ, არც კულტურა და არც ტრადიცია, რომლის გადაშენება ძალიან ძნელია. პარადოქსი ისაა, ასეთი გენეტიკის ხალხმა თავზე დაისვა ეს ვითომ პოლიტიკოსები. ამ დროს არ არსებობს არავითარი მექანიზმი შეცდომის გამოსწორების, ანუ ქვეყნის გამყიდველი და ერის მოღალატე ადამინების უკან გაწვევისათვის, რომელთაც წალეკეს ქვეყანა, პირადი კეთილდღეობის, ფულისა და ქონების გამო. ჩვენი სასიქადულო პოეტისათვის, ვაჟა ფშაველასათვის სხვისთვის ტანჯვა იყო ბედნიერება - ,,ბედნიერი ვარ მაშინა, როცა ვიტანჯვი სხვისთვინა". ესენი ბედნიერი მაშინ არიან, როცა სხვები იტანჯებიან ამათთვის.

,,ნაცების" ხელში ქვეყანა იმას გავს, მგელს კრავი რომ მიაბარო, სამწუხარო ისაა, ოცნება ვაერ უძლებს ცდუნებას და ბევრი მათგანი, თანდათან კორუფციის ჭაობში იძირება. ასეთ დროს ვითომ მედიას მეტი, რა უნდა. გაჭკივის, ქვეყანს ყვლეფენ და ანგრევენო, სააკაშვილის დროს კი ყველა დუმდა. ვერ გაიგებ მედიაა თუ პროკურატურა. საინფორმაციო პროგრამაში ორი-სამი სიუჟეტიანახევარსაათიანი, ოღონდ დამკვეთის დავალება შეასრულონ, ამათთვის არ არსებობს სტანდარტი. ამათ შეტკივათ ქვეყანაზე გული?

ჩვენი დემოკრატია შორსაა ნამდვილი დემოკრატიისაგან, სააკაშვილმა იგი რეჟიმში გადაზარდა, ივანიშვილმა-არაფორმალურ მმართველობაში, და ერთ კაცს დაეკიდა ქვეყანა. მისი ხათრით ვირჩევდით მთავრობას თუ პრეზიდენტს და ახლა ვიმკით შედეგებს. ბევრმა არ დაუფასა ამაგი და ,,ნაცებს" შეუერთდა დევიზით ,,ყველა ერთის წინააღმდეგ". გვარი არ დარჩა პარტია რომ არ შექმნა, სულ მთლად შეაზარეს ხალხს დემოკრატია და არჩევნები. სამწუხაროდ, არ ჩანან ნიჭიერი პოლიტიკოსები, პატრიოტები და პროფესიონალები.

საქართველო სამართლიანი სასამართლოს მოლოდინშია. იგი მთავარი იარაღია ქვეყნის წინსვლისა და დემოკრატიის განვითარებისათვის. და არა ისეთი სასამართლო, განაჩენი რომ გამოუტანა საქართველოს მომავალს და ხელი შეუწყო ნეოფაშისტური რეჟიმის დამკვიდრებას.

ბოლოს ისევ დაუბრუნდეთ ღვთისა და კაცის ურთიერთობას, ღმერთსა და სამშობლოზე ლაპარაკობენ, სააკაშვილი, ბოკერია, უგულავა და სხვები, ლამისაა ქრისტეს კვართი მოირგონ და ჯვრით გაგვიძღვნენ ღვთიური გზით. ტყუილების ეს გზა ჩვენ უკვე გავიარეთ. ხალხს ბევრჯერ წაართვეს ბედნიერება და ეს წლები იყო სიცარიელე, როგორც დაუსწრებელი ცხოვრება და აკვარიუმი, როცა თევზებივით პირს ვაღებთ და არ გვესმის ერთმანეთის.

ზ. აბარალა

ფოთში იწყება ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა

ფოთის ნავსადგურში გაზრდილმა ტვირთბრუნვამ, მძიმეწონიანი ავტომობილების გადაადგილების ინტენსივობამ, ეკონომიკურ სარგებელთან ერთად, დამატებითი პრობლემები შექმნა, დასახლებულ ტერიტორიაზე ხმაურის მატებისა და მტვრის წარმოქმნის სახით. ადგილობრივი ხელისუფლების მოსახლეობასთან შეხვედრებზე, არაერთხელ გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემები. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით არაერთხელ იქნა მოწვეული ექსპერტები ხმაურისა და მტვრის დონის ნორმასთან შესაბამისობის შესწავლის მიზნით. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ახალი, შემოვლითი გზის მშენებლობის გეგმაც, რომელიც ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, მერის მოადგილემ კონსტანტინე თოფურიამ, სახელმწიფო რწმუნებულთან სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ალექსანდრე მოწერელიასთან და საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელთან ერთად განიხილა. ადგილზე დაათვალიერეს ტერიტორია სადაც გაშენდება ახალი საავტომობილო გზა, რომელიც განტვირთავს მოძრაობას ნაბადის უბნის ქუჩებზე.

გზა დავულოცოთ ახალი გამარჯვებებისაკენ „პირველი მერცხალის" შთამომავლებს

ფოთის ცენტრალურ სტადიონზე შვიდი წლის შემდეგ პირველი მატჩი ჩატარდა

7 წლიანი პაუზის შემდეგ, ფოთის ცენტრალურ სტადიონზე პირველი მატჩი გაიმართა. ფოთის „კოლხეთი 1913" ზუგდიდის „ზუგდიდს" მასპინძლობდა, რომელსაც გულშემატკივრებთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია,ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი,საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია ესწრებოდნენ. „ძალიან დიდი ხნის შემდეგ პირველად, ფოთის საფეხბურთო გუნდი თამაშობს თავის ქალაქში, რაც მახარებს. სწორედ ამიტომ ვიმყოფები აქ. ასევე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ფეხბურთის ფედერაცია საფეხბურთო აკადემიას აშენებს, რაც ხელს შეუწყობს არამარტო ფოთში, არამედ მთლიანად ამ რეგიონში ბავშვების ჩართულობას. ეს არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი", – განაცხადა ლევან კობიაშვილმა. ფოთში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა. აშენდა 1700 მაყურებელზე გათვლილი დასავლეთი ტრიბუნა, რომელიც ლითონის კონსტრუქციით გადაიხურა. მოეწყო შიდა და გარე კომუნიკაციები, გასახდელები, საშხაპეები, სველი წერტილები, საკონფერენციო დარბაზი, ექიმისა და დოპინგ-კონტროლის ოთახები. „მინდა ყველა ფოთელს მივულოცო დღევანდელი დღე, რადგან დღეს ჩვენ გვაქვს სტადიონზე პირველი თამაში. მოგახსენებთ, რომ დასრულებულია სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი, ამასთანავე მიდის სამუშაოები სატენდერო დოკუმენტაციაზე და სულ მალე გამოცხადდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სამუშაოების მეორე ეტაპი და დაახლოებით ერთ წელიწადში ჩვენ გვექნება დასრულებული სტადიონი, რომელიც 5 ათას 500 მაყურებელზე იქნება გათვლილი. მინდა მოგახსენოთ, რომ ყველა ის პროექტი, რომელიც დაწყებულია ჩვენს ქალაქში, ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივი ხელისუფლების, ცენტრალური ხელისუფლების მიერ აუცილებლად წარმატებით დასრულდება."-განაცხადა ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ. ტრიბუნის მიმდებარედ, 1500 კვ. მ ტერიტორიაზე ასფალტის საფარი დაიგო.სამუშაოები კომპანია „ელიტა ბურჯმა" შეასრულა.ფოთის სტადიონის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოებისთვის თანხას მუნიციპალური განვითარების ფონდი გამოყოფს. მისი სავარაუდო ღირებულება 5 მილიონ 493 ათას ლარს შეადგენს.პროექტი კიდევ სამი ტრიბუნის აშენებას, სტადიონის ეზოსა და პარკინგების კეთილმოწყობას გულისხმობს.

დაიწყო საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის მშენებლობა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა,ფოთში საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის მშენებლობა, ფოთის მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი ხახუბიასთან, ფოთის მერთან გოჩა კურდღელიასთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ირაკლი კაკულიასთან ერთად დაათვალიერა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და უეფას დაფინანსებით ფოთის საფეხბურთო სკოლის ტერიტორიაზე ტექნიკური ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში ადგილზე მოეწყობა ორი ხელოვნურსაფარიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოედანი განათებით, ასევე 300 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა და ტექნიკური შენობა ფეხბურთელთა და მსაჯთა გასახდელებით, მწვრთნელების ოთახით, სამედიცინო ოთახით, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. მშენებლობა ივლისში დაიწყო და 2020 წლის გაზაფხულზე დასრულდება. სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს სამშენებლო კომპანია "სფრინგ ქონსთრაქშენი". პროექტის ღირებულება 4 მილიონ ლარს შეადგენს.

ფოთის მერიამ განსახორციელებელი პროექტები მოსახლეობას გააცნო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ განსახორციელებელი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაცია გამართა. საჯარო შეხვედრას, სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ალექსანდრე მოწერელია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაულია, მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები, საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. ინფორმაცია ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე მერის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე თოფურიამ წარადგინა, მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით. სახელმწიფო რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ალექსანდრე მოწერელიამ აღნიშნა, რომ ფოთში დაგეგმილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით განხორციელდება. ფოთში მდინარე კაპარჭას გაწმენდითი სამუშაოების მასშტაბური პროექტი აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი მდინარე კაპარჭას 3 700 მეტრიანი ზოლის გაწმენდასა და პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენას ითვალისწინებს. დაიწყო კუნძულის უბნის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა. მიმდინარეობს კოსტავას ქუჩის ცენტრალური ნაწილის ტროტუარების რეაბილიტაცია. დაწყებულია ქუჩების არსებული გარე განათების ქსელის ლედ-სანათებით ჩანაცვლება. ასევე მიმდინარეობს თეატრის რეაბილიტაცია. დასრულდა ბარათაშვილის ქუჩისა და მალთაყვის ბულვართან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა. 2019 წელს გაზიფიცირდა 5 საბავშვო ბაღი. 2020 წელს კი ფოთის ყველა საბავშვო ბაღი გაზიფიცირებული იქნება. ქალაქის ხუთ საჯარო სკოლას ჩაუტარდა სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროცესი მომავალ წელსაც გაგრძელდება. ასევე განხორციელდება ქალაქის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი. პარალელურად მიმდინარეობს საფეხბურთო სკოლისთვის ორი ბუნებრივსაფარიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოედანების მშენებლობა.

მოხდება ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის ყოფილი შენობის სრული რეაბილიტაცია, სადაც საზღვაო სასწავლებელი განთავსდება.

გაიწმინდება და აღდგება მდინარე რიონის ქალაქში გამავალი არხი, მოეწყობა ნაპირდამცავი ჯებირები. რაც მნიშვნელოვანია რიონის ჰიდრო დინამიური რეჟიმის აღდგენის, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სტაბილიზაციისა და წყალდიდობის პრევენციის მიზნით. ფოთში მდინარე კაპარჭაზე ახალი სანიჩბოსნო ბაზა აშენდება, ამჟამად საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს. სანიჩბოსნო ბაზაზე განთავსდება საცურაო აუზი, შენობის გარე და შიდა სივრცეები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. მოხდება ფოთის ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქცია. მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, დასასვენებელი ადგილები და სათამაშო მოედნები ბავშვებისთვის.

იგეგმება ყოფილი უშიშროების შენობის რეაბილიტაცია, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ჭავჭავაძის, თავდადებულის, თამარ მეფის, ბერდიანსკის, ბესიკის, აკაკის და წმ. გიორგის ქუჩებს. მომავალი წლიდან ფოთს 10 ახალი ავტობუსი ეყოლება, მოეწყობა გაჩერების ადგილები.

ახალ რაიონში მდებარე საბავშვო ბაღის ეზოში სათამაშო მოედანი მოეწყო

ფოთში, დევნილთა დასახლებაში მდებარე საბავშვო ბაღის ეზოში პროექტის „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის" ფარგლებში ბავშვთა სათამაშო მოედანი მოეწყო,რომელიც ქალაქ ფოთის მერის მოადგილე პაატა ლაგვილავამ მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი ხახუბიასთან ერთად დაათვალიერა. დევნილთა დასახლებაში 100 აღსაზრდელზე გათვლილი ახალი საბავშო ბაღი 2018 წელს აშენდა. საბავშვო ბაღის მშენებლობა 2017 წლის ივლისში პოლონეთის საელჩოსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო, პროექტი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და დევნილთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ინვენტარით, შექმნილია ყველა პირობა მოზარდთა სრულფასოვანი აღზრდა-განათლებისათვის. მიმდინარე წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 5 სკოლამდელ დაწესებულებაში გაზიფიცირების სამუშაოები განხორციელდა

კოსტავას ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკების მოწყობა მიმდინარეობს

ფოთში, კოსტავას ქუჩაზე, საფეხმავლო ბილიკების კეთილმოწყობის სამუშაოებს მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი ხახუბიასთან ერთად გაეცნო. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს: ბაზალტის ბორდიურების მოწყობა; ტროტუარზე ეზოდან წყლის გადმომღვრელი მილების მონტაჟი; დაწნეხილი ფერადი ბეტონის ფილების დაგება; გადასასვლელებზე რკინაბეტონის საფარის მოწყობა. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი ღირებულება 341, 644 ლარს შეადგენს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია ფოთში, საპატრიარქოსთან არსებულ ,,ახალი საქართველოს უნივერსიტეტს“ სტუმრობდა

სახელმწიფო რწმუნებული უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორებს, რექტორთან მეუფე გრიგოლთან ერთად შეხვდა. სასწავლებელში ლექციებს პროფესორები მსოფლიოს სხვადახვა ცნობილი უნივერსიტეტებიდან სტუმრობენ.

ამჯერად ,,ახალი საქართველოს უნივერსიტეტს“ გერმანიის კასელის უნივერსიტეტის პროფესორი ჰელმუტ შნაიტერი და იტალიის ურბინოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯაკომო რინალდი სტუმრობენ. მათი ლექციების მოსასმენად სტუდენტები სხვადასხვა სასწავლებლებიდან ჩამოდიან.

შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა უნივერსიტეტსა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობის საკითხები.

ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების პრეზენტაცია
დიდი ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 176 წელი აღინიშნა

დიდი ქართველი პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის, ფოთის ქალაქის აღმშენებლის, ქალაქის თავის, დიდი ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 176 წელი აღინიშნა. ამ დღეს ფოთის მაცხოვრის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძრის სამრევლო დარბაზში ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების პრეზენტაცია შედგა. ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებას ქალაქ ფოთის მერის ყოფილი მოადგილე **გიორგი ფარეშიშვილი** ჩაუდგა სათავეში, რომელიც ამჟამად არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობს. საზოგადოების დაარსებას ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი **მეუფე გრიგოლი**, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი **გოჩა კურდღელია**, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარები დაესწრნენ. ქალაქის მერიისა და ,,APM Terminals” ფოთის წარმომადგენლებმა ნიკო ნიკოლაძის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს. ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების დარბაზში, ლიტერატურული სალონი “გულის სამელნეს” ორგანიზებით, ნიკო ნიკოლაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ფოტო გამოფენა გაიმართა.

ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სამოციანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი და ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ნიკო ნიკოლაძე დაიბადა 27 სექტემბერს 1843, დიდი ჯიხაიშში. ნიკო ნიკოლაძე 1894 წლის 18 სექტემბერს ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს. 1897 წელს ნიკოლაძის უშუალო ხელმძღანელობით, მიიღო რა ნავსადგურის გადაკეთების ნებართვა, იწყება ფოთის პორტის აღმშენებლობა. ამ მიზნით გამოყოფილ იქნა 3 953 000 მანეთი. ქ. ფოთისა და მისი პორტის ღირსშესანიშნაობათა ლომის წილი სწორედ ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. მისი პროექტით განხორციელდა ფოთის დაგეგმარება, აიგო სამოქალაქო და სახელმწიფო შენობები, ხიდები, მონუმენტური საკათედრო ტაძარი.

პოეზიის ფესტივალი და ტურნირი- ,,ოქროს ლოქო-2019”



ფოთში პოეზიის ფესტივალი ,,პონტოს ბრამეა” და ტურნირი თევზჭერაში – ,,ოქროს ლოქო- 2019” საქართველოს მწერალთა კავშირის ფოთის განყოფილების ორგანიზებით, ტელეკომპანია მე-9 ტალღის და ფონდი ,,ქველმოქმედი -2015“ მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობდნენ მთელი საქართველოდან ჩამოსული მწერლები და პოეტები. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, — პოეტი ლაშა გვასალია ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით, ხოლო მწერალი ჭაბუკი ქოიავა ნიკო ლორთქიფანიძის პრემიით დააჯილდოვა. ფესტივალის პარალელურად რიონის ხიდზე ტარდებოდა ტურნირი ,,ოქროს ლოქოს” მოსაპოვებლად, რომელშიც 20-მდე მეთევზე მონაწილეობდა. მთავარი პრიზი- ოქროს ულვაშებით და ვერცხლის ფარფლებით გაწყობილი, ნიყარებისგან შექმნილი ლოქოს ფიგურა მხატვარმა ბორის პაპასქუამ დაამზადა. საღამოზე ლექსების გარდა შესრულდა მუსიკალურ და ქორეოგრაფიული ნომრები. საღამოს საორგანიზაციო საკითხებში ჩართული იყო მე-8 საჯრო სკოლის ლიტერატურული სალონ ,,კესანეს” წევრები, პედაგოგები და მოსწავლეები. საღამოს კი უძღვებოდნენ ამავე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები ნინო სიჭინავა და თედო გოგენია. აჭარის ლიტერატურულ ჟურნალ ,,ზღვაურის” რედაქტორმა პოეტმა ბელა ქებურიამ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა მე-8

საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა.

ფესტივალი საქველმოქმედო ხასიათსაც ატარებდა და პოეტების, მწერლებისა და სახალხო მოქმეულების მიერ მოწოდებული წიგნები, სოციალურად დაუცველ ბავშვებს გადაეცემათ.

ფოთში ახალი ქარხნის მშენებლობის საკითხი განიხილება

ფოთში ახალი ქარხნის მშენებლობის საკითხი განიხილება. კორეული კომპანია HIP HOLDING ფოთში მეორადი პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხნის გახსნას გეგმავს. ამ მიზნით ქალაქში 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება. დასაქმდება 1000 ადამიანი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია და მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი კომპანია HIP HOLDING-ის ხელმძღვანელს ჯემს ჰონგსა და კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბარი შეეხო საწარმოს გახსნასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეკონომიკურ ფაქტორებსა და გარემოზე ზემოქმედებას.

ფოთში პედაგოგის დღე აღინიშნა
2019 წლის საუკეთესო პედაგოგები დაჯილდოვდნენ

პედაგოგებს მისალოცი ბარათები და თაიგულები სკოლებში გადაეცათ, ხოლო 16 მასწავლებელს წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება და ფულადი ჯილდო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ გადასცა. მანვე დამსწრე საზოგადოებას მთავრობის გადაწყვეტილება გააცნო, რომლის თანახმად 2020 წლიდან სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგის ხელფასები გაიზრდება. 2019 წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება მიენიჭა: ლელა ფესვიანიძეს (1 საჯარო სკოლა), მაკა ვადაქარიას (2 საჯარო სკოლა), ეკა ბუკიას (3 საჯარო სკოლა), მზია გვენეტაძეს (4 საჯარო სკოლა), მირანდა ბერაიას (5 საჯარო სკოკლა), ლიანა ჭედიას (6 საჯარო სკოლა), ლალი სულამანიძეს 7 საჯარო სკოლა), რუსუდან არზიანს(8 საჯარო სკოლა), ნანა ბერაიას(11 საჯარო სკოლა), მარინე პარუნაშვილს (12 საჯარო სკოლა), ირმა კაპოსნიძეს(15 საჯარო სკოლა), ხათუნა გოგიას (შპს „გიმნაზია“), ნათელა ოჩიგავას(თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზია), თამარ გვასალიას (წმ. ნიკოლოზის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა), აზა შენგელიას (შპს ფიზიკა-მათემატიკის სკოლა), ნანა შომახიას(საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“). ქალაქ ფოთის პედაგოგიურ საზოგადოებას 209 უფროსი მასწავლებელი ყავს. მიმდინარე სასწავლო წელს 7 პედაგოგს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ერთს კი მენტორის სტატუსი მიენიჭა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო დიპლომი და სამკერდე ნიშანი გადაეცა მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგს ტარიელ გაგულიას, რომელიც 48 პედაგოგთან ერთად, საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლის პროგრამის მონაწილე გახდა. ტერმინალის სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცა საჯარო სკოლის 4 პედაგოგს: ნაილი ბეგბეჭკორს, მარინა მიმინოშვილს, ნინო კაკულიას, თეონა ცხვიტავას.

მდინარე კაპარჭას გაწმენდითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

პროექტი მდინარის 3 700 მეტრიანი ზოლის გაწმენდასა და პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენას ითვალისწინებს. მდინარე კაპარჭას და პალიასტომის ტბის გაწმენდითი სამუშაოები საბჭოთა პერიოდის შემდეგ არ განხორციელებულა. ბუნებრივმა პროცესებმა მტკნარი წყლების კლება და ტბის ნაწილის დეგრადირება გამოიწვია. მომრავლდა ქვეწარმავლები, კოღოები და სხვა მწერები, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნიდა. არხებისა და მდინარის ძირზე დაწყებულია მკვდარი მცენარეული მასის და პირველ რიგში, ტორფის აჭრილი ფენების წყალში გახრწნა, რამაც მავნე ბიოლოგიური ელემენტების დიდი რაოდენობით წარმოქმნა და იმავე ნივთიერებებით პალიასტომის შენაკადების დაბინძურება გამოიწვია. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს როგორც მდინარე კაპარჭას წყალგამტარიანობისა და შესაბამისად პალიასტომის ტბის ეკოსისტემის აღდგენას, თევზის ენდემური სახეობების შენარჩუნებას, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარებას. პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარია, იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ინიციატივით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, განხორციელდება. ეს არის პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენის I ეტაპის სამუშაო, რომლის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი გახდება პალიასტომის ტბის პრობლემების უფრო ეფექტური გადაჭრა.

ფოთში კუნძულის უბნის სანაპიროზე რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო

ფოთში კუნძულის უბნის სანაპიროზე რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო,რომლის პროცესს ქალაქ ფოთის მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან, ლუდუკ ხასიასთან ერთად გაეცნო. პროექტი, რომელიც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს, 2 000 მეტრიანი სანაპირო ზოლზე შიდა კომუნიკაციების მოწყობას, ზოლისა და მისასვლელი გზების რეაბილიტაციას, განათების სისტემის მონტაჟს ითვალისწინებს. პროექტი არაერთხელ იქნა ქალაქის საზოგადოების წინაშე საჯაროდ განხილული. მისი მეორე ეტაპი ჯებირის რეაბილიტაციას, საფეხმავლო და საავტომობილო გზის, სავარჯიშო ზონების, საჩრდილობლების, სასმელი წყლის შადრევნების, სპორტული მოედნის, ვეტერანთა სახლისა და საბავშვო მოედნის მოწყობას, კაფეებისა და კომერციული ობიექტების განთავსებას ითვალისწინებს. კუნძულის სანაპირო ზოლისა და მისასვლელი გზების რეაბილიტაცია რეგიონალური განვითარების ფონდიდან 1 მილიონ 122 ათასი ლარით ფინანსდება.

მილოცვა

ჟერონ შუბითიძე-75

სულ მალე ჩვენს საყვარელ მეგობარს 75-წელი შეუსრულდება და ქალაქის ღვაწლმოსილ ხანდაზმულთა კოჰორტას კიდევ ერთი გამორჩეული კაცი დიდი იუბილეთი შეემატება. კაცი რომელმაც ცხოვრების ზღვა გადაცურა, დაიარება წყნარად-უხმაუროდ და ასევე უხმაუროდ აკეთებს ბევრ სიკეთეს, კაცი რომელიც არის ოჯახის, ახლობლების, მეგობრების დიდი მოსიყვარულე - უღალატო-თანამდგომი. გადავავლეთ თვალი რამ მის ბიოგრაფიულ, განვლილი შრომითი საქმიანობის ამსახველ და სხვა მასალებს, მართლაც, რომ კარგი უკან მოსახედი გზა აქვს განვლილი იუბილარს.

ჟერონი შუბითიძე დაიბადა 1944 წლის 15 ნოემბერს საჩხერის რ-ნ სოფ. ჭალოვანში. გეგმიური გადმოსახლებით მისი ოჯახი 1950 წელს ჩამოასახლეს ხობის რ-ნ სოფ. საგვიჩიოში. სოფელში შვიდ წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ 1958-1962 წლებში სწავლობდა ფოთის ჰიდრო მელიორაციულ ტექნიკუმში. 1962-1965 წ.წ. მუშაობდა ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხანაში ზეინკალ-შემკეთებლად. 1965-1970 წ.წ. სწავლობდა საქართველოს სუპტროპიკული მეურნეობის ინსტუტში მექანიზაციის განხრით, პარალელურად ამავე ინსტიტუტში, მე-2 კურსიდან, დაუსწრებლად სწავლობდა აგრონომიულ ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქ ფოთს და 1970-1994 წ.წ. მუშაობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კოლხეთის ფილიალში (შემდგომ კოლხეთის ათვისების სამეცნიერო ცენტრი) ჯერ ინჟინერ მექანიზატორად, შემდეგ, მთავარ ინჟინრად, ასპირანტურაში ჩარიცხვის შემდეგ კი - მეცნიერ მუშაკად. სამეცნიერო ცენტრში მუშაობის პერიოდში მას და სხვა ავტორებთან ერთად გამოქვეყნებული აქვს 19 სამეცნიერო სტატია და რამოდენიმე საკომფერენციო თეზისი, თანაავტორია 3-გამოგონების და 5-რაციონალიზატორული წინადადების.

ბატონი ჟერონი საწარმოო-სამეცნიერო საქმიანობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ დატვირთვებს, იგი სხვადასხვა დროს არჩეული იყო შიგა სამსახურის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად, პროფკავშირის და სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ, პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილედ. არჩეული იყო სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ინსტრუქტორად, 1986 წელს, სამსახურიდან მოუწყვეტლად (ნახევარ განაკვეთზე), არჩეული იქნა სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ.

ჟერონი შუბითიძე 1994 წელს მუშაობას იწყებს ფოთის საზღვაო ნავსადგურში ჯერ სათბობ ენერგეტიკული და წყლის რესურსების განყოფილების უფროსად, შემდგომ ნავსადგურის კეთილმოწყობა-გამწვანების და სამეურნეო სამსახურის უფროსად, ამჟამად მუშაობს ნავსადგურის ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტად. ნავსადგურში მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით დსაუფთავდა ნავსადგურის ტერიტორია და გატანილი იქნა არეულობის პერიოდში-(წლების განმავლობაში), დიდი რაოდენობით დაგროვილი საწარმოო და სხვა სახის ნარჩენები. გამწვანდა და კეთილმოეწყო ნავსადგურის მთელი რიგი ობიექტები, მოეწყო დასასვენებელი სკვერები.

ბატონ ჟერონ შუბითიძეს გამწვანების კუთხით მუდამ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და აქვს ქალაქის ინფრასტრუქტურის სამსახურთან,

მისი მონაწილეობით გამწვანდა და კეთილმოეწყო ქალაქის რიგი ობიექტები, კერძოდ: ბავშვშვთა პოლიკლინიკის, შეჭირვებულ ბავშვთა სახლის, ნიკო ნიკოლაძის ძეგლის, სამლოცველოს მიმდებარე ტერიტორიები, დაირგო დიდხნოვანი პალმები (საზღვაო ვაგზლის ტერიტორიაზე ამოღებული) ეპარქიის, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე. გამწვანდა გეგიძის ქუჩა, 9-აპრილის და ოცნების ხეივნები. მონაწილეობდა, ქალაქის წამყვან სპეციალისტებთან ერთად, ზღვის სანაპირო ზოლის (შუქურადან წყალსაქაჩამდე) მე-2 ფაზის დაგეგმარებაში.

ჟერონი შუბითიძის წვლილი და მოღვაწეობა არ დარჩენილა უყურადღებოდ, როგორც სამეცნიერო სფეროში, ასევე, ნავსადგურში, ქალაქში,

საზოგადოებრივ წრეებში: იგი სამეცნიერო დაწესებულებაში მრავალჯერაა დაჯილდოებული ქების სიგელით და ფულადი პრემიით, ნავსადგურში ორჯერ დაჯილდოვდა პრეზიდენტის საპატიო სიგელით, ფულადი პრემიით რაციონიზატორული წინადადების დანერგვისათვის, სულ ეხლახან კი დაჯილდოვდა გარემოს დაცვაში გაწეული წვლილისათვის. არჩეულია ფაზისის სახალხო აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი ყველა საზოგადო ღონისძიების აქტიური მონაწილეა და მისი ცხოვრების გზაც ქალაქის ცხოვრების თანაზიარია.

ჟერონი შუბითიძის მრავალ კარგ თვისებებიდან ცალკე გამოსაყოფია მისი თავმდაბლობა, პატიოსნება და სიკეთის კეთებისადმი უზომო ლტოლვა. ამის დასტურად მოვიყვანთ სტუდენტობის ერთ პატარა ეპიზოდს. ინსტიტუტში ჩარიცხვისთანავე მას მშობლებმა უყიდეს სახლი, რომლის კარი მუდამ ღია იყო ეკონომიურად გაჭირვებული თანაკურსელებისათვის, გამოცდების დროს საგნების კოლექტიურად მომზადებისათვის, დაბადების დღეების აღსანიშნავად თუ სხვა მეგობრული შეკრებებისათვის, ანუ ჟერონი იყო ჩვენი „ მამა ტერეზა''. მან და ერთმა ჩვენმა თანაკურსელმა (იური შონია) აღადგინეს თანაკურსელებს შორის გაწყვეტილი 40-წლიანი ერთიერთ- კავშირი და ეხლა ჟერონის უმადლით თანაკურსელები ჩვენს ხშირ შეხვედრებს გაჭირვება-დალხინებაში. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით-მე 1994 წელს აფხაზეთიდან-სოხუმიდან ოჯახით იძულებით გადმოსულმა, უფულო-უსახლკარომ მოვინახულე ინსტიტუტის მეგობარი, მან ყველანაირი დახმარება აღმომიჩინა, მისი დამსახურებაა დღეს, რომ ნავსადგურში ვმუშაობ, მაქვს საკუთარი ბინა და ა. შ. კიდევ უფრო მეტი, იძულებით გადაადგილებული ჩვენი თანაკურსელის (ანზორ ცაცუა) ხუთსულიანი ოჯახი წელიწად ნახევარი ყავდა თავშეფარებული მის ისედაც მრავალსულიან ოჯახს. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ჟერონმა ფოთში პირველმა ჩამოაყალიბა მეფუტკრეთა 12-კაციანი კოოპერატივი, სადაც გააერთიანა ქალაქში ცნობილი პიროვნებები და მეფუტკრეობის მოყვარულები, მათ რიცხვშია ფოთის კოლორიტი, უხუცესი, ცნობილი სახალხო მთქმელი და მეფუტკრე ნაპო თოდუა. აი, ის მცირე ჩამონათვალი ჩვენი მეგობრის უანგაროდ ნაკეთები სიკეთეებიდან. დიდ მადლობას გიხდით ყველაფრისათვის ჩვენო ჟერონ, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს.

ღვაწლმოსილ პიროვნებას მართლა არ დაუკარგა ღმერთმა გაწეული ამაგი, ყავს კარგი მეუღლე ქალბატონი მზია უბილავა, ოთხი ბრწყინვალე ქალიშვილი, სიძეები და ხუთი შვილიშვილი (კენტ რიცხვს მალე ფრანგი შვილიშვილი შეავსებს), ერთმა შვილიშვილმა, თამთა მაჭავარიანმა დაამთავრა ინსტიტუტი, მუშაობს თბილისში საბანკო სისტემაში და იგი პირველი იქნება ალბათ, რომ გაუხარებს გულს ბაბუას შვილიშვილის შვილის შეძენით (კარგი ბედის შემდეგ). შუბითიძეების ოჯახს რამოდენიმე თვის უკან საფრანგეთიდან-პარიზიდან ესტუმრა იქ გათხოვილი ქალიშვილი მაია, სიძე ფრედი ფიშერი და მისი მშობლები. ასე რომ იუბილარის მშობლებს ტყუილად არ დაურქმევიათ მისთვის უცხო სახელი ჟერონი, მას უკვე ფესვი აქვს გადგმული ჟერონ-ის სახელის მრავლად მატარებელ ქვეყანაში-საფრანგეთში. გვეამაყება და გვიხარია ჩვენო ჟერონ, რომ შენ ასე კარგად გაართვი თავი ცხოვრების რთულ პერიოდებს, ის, რომ ასე უყვარხართ და გაფასებთ მთელი ნავსადგურის კოლექტივი, ქალაქის საზოგადოება, მეგობრები და ახლობლები (ზოგჯერ მიფიქრია კიდეც, როგორ მიაღწია ყოველივე ამას ამ „პატარა'' კაცმა).

დაე, სასიხარულო დღეები გიმრავლოს ღმერთმა, ჩვენო ჟ ე რ ო ნ -რათა კვლავაც თესო სიკეთე და გაახარო ახლობლები. ღმერთი იყოს შენი მფარველი მუდამ.

ინსტიტუტის მეგობრების სახელით
რევაზ ძიძიგური
15. 10. 2019 წ.

ცხოვრების გაკვეთილები ბიზნესმენთათვის

დაგვიანებული სამადლობელი ფეხბურთის დიდ გულშემატკივარს და მეცენატს დავით კუპრეიშვილს

პაიჭაძის ქალაქში ასე არ უნდა უჭირდეს ფეხბურთს

ფოთში ფეხბურთი საზოგადოებრივი ცხოვრების თანაზიარი იყო, არა როგორც სპორტული ასპარეზობა, არამედ პრესტიჟი, რამეთუ აქ დაირწა ფეხბურთის აკვანი. აქ აღიზარდნენ ფეხბურთის დიდოსტატები, მათ შორის ფეხბურთის კარუზო **-ბორის პაიჭაძე**. ფოთელებს სიამაყის სულისკვრეთება დღესაც არ განელებიათ, მხოლოდ შესაფერის დროს ელოდებიან, როცა ფეხბურთი ისევ სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრებს, არადა, ფეხბურთი წარმოუდგენელია გულშემატკივრების გარეშე, ესენი იყვნენ ნამდვილი ფანატიკოსები, თავის ქალაქზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები, რაც სამუდამოდ დარჩება თაობებს, რომელთაც არ შეიძლება ასეთ დამოკიდებულებას პატივი არ მიაგონ. დღეს სწორედ იმ სიყვარულის დეფიციტმა შექმნა სავალალო მდგომარეობა ფეხბურთში და არ არის იოლად გადასაწყვეტი, იგი ადამიანთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ფეხბურთს მაშინ დიდი გულშემატკივრები ყავდა, ფინანსური მხარდამჭერები, შედეგებიც სახეზე იყო და ეს იყო დაუვიწყარი ასპარეზობები მაღალი კლასის ფეხბურთელებისა. ამ მხარდამჭერთა შორის არის **დავით კუპრეიშვილი**, ბიზნესმენი და ქველმოქმედი, რომელიც მხოლოდ ფეხბურთით არ შემოიფარგლებოდა. საკმარისია რამდენიმე ფაქტის მოყვანა, რათა წარმოდგენა შეგვექმნას ამ პიროვნების საქველმოქმედო საქმიანობაზე. ჯერ კიდევ ყულევში მეთევზეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში 150 ათასი დოლარი გაიღო ამ უბნის კეთილმოსაწყობად. ნაბადის უბნის სასაფლაოს შემოღობვაზე 90ათასი დოლარი დაიხარჯა, ფოთს ცენტრალუროი სტადიონის 2 სართულიანი სახლის მშენებლობა და მოწყობა 700 ათასი დოლარი დაუჯდა. ფეხბურთის სტადიონის შემოღობვა - 100 ათასი დოლარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დახმარება საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთი 1913''-ისათვის, რომლის პრეზიდენტი იყო 5 წელი. ერთი წელი გუნდის შენახვა ჯდებოდა 1200000 დოლარი. მან დიდი ფინანსური დახმარება გაუწია მომავალ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას და მის გუნდს გადასცა 26.500ტონა მეტალი, რომლის ღირებულება იყო 4650 000 დოლარი, რაც გაკეთდა უანგაროდ.

ცხადია, დღევანდელი გადასახედიდან დაუჯერებელია ქველმოქმედების ასეთი მასშტაბები, მით უფრო არც დღეს განვიცდიდთ მდიდარი ადამიანების ნაკლებობას, მაგრამ მათ აკლიათ საზოგადოებრივი საქმისადმი მხარდაჭერის სულისკვეთება, სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი. ბატონ დავითის მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ იცოდეთ თუნდაც ერთმა ადამიანმა რამდენი რამ გააკეთა ქალაქისათვის. ,,კოლხეთი 1913''-ი 2-ჯერ გაიყვანა საპრიზო ადგილზე.

როგორც ბიზნესმენთა უმრავლესობას, სააკაშვილის ,,ნაცბანდამ'' არც მას დაუფასა ამაგი და დაიჭირა, პატიმრობა მიუსაჯეს. ცხოვრებამ ბევრი ტკივილი არგუნა, შვილის დაკარგვა, გაჭირვება და ტკივილი, მაგრამ ყველაფერს ვაჟკაცურად გაუძლო და ისევ გამოჩნდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, ისევ ფეხბურთით ცხოვრობს და ვერ ისვენებს, როცა მას ასე უჭირს, თანაც ძველებური შესაძლებლობაც არა აქვს და ამასაც განიცდის. თუმცა, ფარხმალს არ ყრის და იმედი აქვს გვერდში დაუდგებიან ბიზნესმენები, რათა ფოთის ,,კოლხეთი-1913''-ი ისევ ვიხილოთ წინანდელ სიმაღლეზე, ისეთი როგორიც ეკუთვნის პაიჭაძის ქალაქს.

მილოცვა დარეჯან და დემურ გვაზავებს შვილიშვილის შეძენის გამო

„წუხელის გოგო დაბადებულა"

უდიდესი ბედნიერებაა თქვენს დიდ ოჯახში, შვილიშვილის შეძენა. გვინდა ვუსურვოთ დიდი, წარმატებული მომავალი. და ე, ღირსეულად ეტარებინოს ქართველი ქალის ყველა საუკეთესო თვისება, და გაეგრძელებინოს თქვენი დიდებული ოჯახის ტრადიციები. ღმერთმა გაგიზარდოთ და გიბედნიეროთ.

პირველი შვილის ანასტასიას შეძენას ვულოცავთ მარიამ გვაზავას და გოგა გვასალიას, გამრავლდით იხარეთ, იბედნიერეთ.

მეგობრები

საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას

ქვეყნის სიმდიდრე და მომავალი მრავალშვილიანობაა

ბიზნესმენი და ქველმოქმედი ნოდარ კორსანტია ომარ უჩანეიშვილისა და თამილა კირთაძის 12 შვილიან ოჯახს დაეხმარა

მიბაძეთ!

საქართველოს ხვალინდელი დღე დამოკიდებულია ახალი ადამიანის დაბადებასთან, რაც კატასტროფულად მცირდება სოციალური მდგომარეობის გამო. სამწუხაროდ არ ჩანს იმედის მომცემი პერსპექტივა, რომ ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ პირობები უპატრონონ ოჯახებს, შვილებს. სიღარიბე და უმუშევრობა ანგრევს ამ ურთიერთობას, ადამიანები ტოვებენ ქვეყანას. ერი დემოგრაფიული არყოფნის წინაშე დგას, საუკუნის ბოლოსათვის შესაძლოა იგი არ შემორჩეს სამყაროს, ამიტომ სახელმწიფო უნდა მუშაობდეს სპეციალური პროგრამით, დემოგრაფიული სიტუაციის გადასარჩენად. სამწუხაროდ, სახელმწიფოებრივი მიდგომა არ ჩანს. პარტიები პოლიტიკურ კინკლაობას არიან გადაყოლილი.

საბედნიეროდ გამოჩნდებიან ადამიანები, რომელთაც გულთან მიაქვთ მრავალშვილიანი ოჯახის გასაჭირი, ამ ოჯახებსაც იმედი ეძლევათ, რომ მარტო არ არიან, რომ ვიღაცას აწუხებს მათი ბედი. **ნოდარ კორსანტიას** ქველმოქმედებაზე ჩვენ გაზეთის წინა ნომერში ვწერდით. ამ პიროვნებას მართლაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი სიკეთის ქმნა, გაჭირვებულთათვის ხელის გაწვდენა. **ომარ უჩანეიშვილისა და თამილა კირთაძის** მრავალშვილიან ოჯახს ბატონმა ნოდარ კორსანტიამ სურსათ-სანოვაგე, ხილი, ბოსტნეული და საკოლო ნივთები გაუგზავნა საჩუქრად.

12შვილის დედობა მართლაც გმირობაა. 12-ივე საღი ჯანმრთელი და საოცრად ლამაზია- 4გოგო და 8 ბიჭი. უმეტესობა მცირეწლოვანია, თუმცა, უფროსებიც სამუშაოებს ეძებენ, რათა ოჯახს დაეხმარონ. სახელმწიფოსგან მხოლოდ 300 ლარს იღებენ.

იმედია, ადგილობრივი ხელისუფლება, ბიზნესმენები დაეხმარებიან ოჯახს, რომლის სახლიც სავალალო მდგომარეობაშია და ზამთარიც გაუსაძლისი იქნება.

დღეს ერის გამრავლება სხელმწიფოს სწორ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. ადამიანების გარეშე ქვეყანა ცარიელი ტერიტორიაა, ესაა მატერიალიზმისა და იდეალიზმის ქვაკუთხედი-სიცოცხლის ძაფი არ უნდა გაწყდეს.

ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა ბატონ ნოდარ კორსანტიამ აქაც მაგალითი გვიჩვენა გულთბილობისა და ერისკაცობისა. მრავალშვილიანი ოჯახი იმ დღეს სიხარულს ვერ ფარავდა-ვიღაცას გავახსენდით. კარგი იქნება თუ სხვებიც მიბაძავენ ბატონ ნოდარს და შეჭირვებულ ადამიანებს წაეშველებიან.

რამაზ ლაგვილავა: ხელოვნება ქართველი კაცის ბედისწერაა

ის ჩვენი ქალაქის კულტურის სფეროს ერთ-ერთი ჩვეულებრივი მუშაკია, ფოთელ ხელოვანთა ოჯახის რიგითი წევრია, ქართული შემოქმედების მოტრფიალეა და ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც საკუთარი წვლილი შეაქვს ეროვნული ფოლკლორისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების განვითარებაში. **რამაზ ლაგვილავას** ქალაქის საზოგადოებაში წარდგენა არ სჭირდება, თავისი ნამუშაკარით კარგად იცნობენ ფოთელები. ვალერიან გუნიას სახელობის დრამატული თეატრის ტრქნიკური ნაწილის ერთ-ერთ ხელმძღვანელს საქმისადმი თავდაუზოგავ მიდგომასა და ერთგულ სამსახურს ვერავინ ასწავლის. მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა და თეატრისადმი გულმართალი ზრუნვა, ქართული ხელოვნებისადმი სისხლ-ხორცეულმა დამოკიდებულებამ განაპირობა, რაც მთელი ცხოვრების კრედოდ იქცა, იმ ცხოვრებისა, რომლის სამოცდამეხუთე საფეხურზეა შემდგარი ბატონი რამაზი.

პოეზიის ქნარიც მისი შინაგანი სამყაროს განუყოფელი ნაწილია, ამიტომაც ატარებს სახალხო მთქმელისა და პოეზისტის სახელს.

მრავალი ლექსის ავტორია, რამაზ ლაგვილავა, რომელთა ძირითადი მოტივი საქართველოა-სამშობლოა, მეგობრებისა და ადამიანებისადმი სიყვარული. დედაქალაქიც და ფაზისქალაქიც ხიბლით მოსჩანს სტრიქონებიდან, მისი გულის ძახილია გრძნობით გამთბარი თითოეული სიტყვა.

ხელოვნებაზე, პოეზიაზე, ხალხურ შემოქმედებაზე საუბარი მისი ჰობიც გახლავთ და პროფესიული ინტერესიც. კითხვაზე,- ,,ხელოვნებას რა ადგილი უკავია თქვენში"? -მოკლედ და პათეტიკურად პასუხობს: -,,ხელოვნება ქართველი კაცის ბედისწერაა, შესაძლოა არ იყო თავად ხელოვანი, მაგრამ ხელოვნებას ვერსად გაექცევი, საქმეში თუ არა, სულის სარკმელთან დაგიდარაჯდება, მოგაგნებს და მოგხიბლავს, მეტადრე შენი ქვეყნისა და ხალხის ხელოვნება". მტკიცედ სჯერა, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად, ხელოვნებამ გადაარჩინა ქართველობა, ასეთი იდეით არის გამსჭვალული მისი მოკრძალებული ამოძახილი, რომელიც ხალხური პოეზიის დიდ ჰარმონიას უერთდება. ამგვარი შთაგონებით აზიარებდა ნორჩ ფოლკლორისტებს ბატონი რამაზი, რდესაც ჩხოროწყუს ბავშვთა ხალხური სიმღერის ანსამბლს ხელმძღვანელობდა. შემდეგი იყო ფოთის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოებასთან არსებულ ანსამბლ,,ფაზისი" წევრი და მომღერალი.არის ორგზის საერთაშორისო და ორგზის რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი. 45 წელი ქართული ხელოვნებისა და ფოლკლორის სამსახურში არც ბევრია და არც მცირე ერთი კაცისთვის, ფოთელ ხელოვანებთან, მუსიკოსებთან, ფოლკლორისტებთან, თეატრალებთან, მსახიობებთან, მხატვრებთან, რეჟისორებთან, მაყურებელთან განსაკუთრებულმა ურთიერთობამ მის სულიერ სამყაროს შთამბეჭდავი რიტმი შესძინა, რაც რითმებად აიკინძა ლექსების რვეულებში. აქვე დავსძენთ, ურიგო არ იქნება, ჩვენმა თანაქალაქელმა, რომელიმე ბიზნესმენმა, ვინც სახალხო პოეზიას ეროვნულ საუნჯედ მიიჩნევს თანადგომა და მატერიალური მხარდაჭერა გაუწიოს ჩვენს სახალხო მთქმელსა და პოეზისტს ლექსების კრებულის გამოცემაში, ამ დღეებში მას 65 წელი უსრულდება, რაც დიდი მადლიერება და საჩუქარი იქნება.

საუბარში კიდევ ერთი კითხვით მივმართე;-,,ქართველი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალი თაობა, ხომ არ დაშორდა ხალხურ ლექსს, ქართულ ფოლკლორს?''-,,დაგვიფაროს ღმერთმა. აკვნიდან ესმოდა ქართველს იავნანასთან ერთად ჯადოსნური ხმა და ბგერა მშობლიური ენისა ევროპასა და საზღვარგარეს, რათქმაუნდა, თავისი ადგილი აქვს, მაგრამ ჩვენი, მამა-პაპური, ტრადიციული, ომახიანი, ათასჭირვარამსა და ქარტეხილს გამოვლილი ეროვნული კულტურა იგივეა, რაც ღვთისაგან მოცემული სიცოცხლე", -პასუხობს ხალხური, მხატვრული სიტყვის, საზოგადოდ, ეროვნული კულტურის გულწრფელი ქომაგი.

ესაუბრა მერაბ ხინჩიკაშვილი

აქვე გთავაზობთ რამაზ ლაგვილავას რამდენიმე ლექსს.

კოლხთა აკვანო

მე შენს ქუჩებს ვეფერები ყოველს,
სურნელებმა ყვავილების მგუდავს,
გეფერები, როგორც დედა მშობელს,
მიყვარდი და მეყვარები მუდამ.
შავი ზღვა რომ აგორებს ტალღას,
შენს ნაპირებს ეხეთქება ხვნეშით,
ზვირთშხეფები აიჭრება მაღლა
და წყლის წვეთებს შეგასხურებს ეშხით.
დარწეული აკვანი ხარ ლაზის,
ხოხობების სანავარდო მხარე,
კოლხიდელთა მშვენება ხარ ფაზის,
მზე მომავლის და ოცნების მთავრე,
გაზაფხული გეფერება ხოლმე,
და ალერსი შეგიმერავს სიოს,
მოჭიკჭიკე მერცხლები რომ მოვლენ,
აღმა-დაღმა მისერავენ რიონს.
შენს სულში კი სულ ზაფხული არის,
ზამთრის სუსხი ვერ გიხურავს კარებს,
რიონიდან მონაქროლი ქარი,
აგიმღერებს კოშკურების ზარებს.
მერამდენე საუკუნე დარობს,
ჭირიცა და ლხინიც გახსოვს ფაზის,
არგონავტთა მობრძანებით ხარობ,
და გულმკერდზე ოქროს ვერძი გაზის.
საუკუნე საუკუნეს შეცვლის
და ათასჯერ გადაივლის ქარი,
კიდევ მევრჯერ აწკრიალდეს შენთვის
ფაზისელთა სამლოცველოს ზარი.
ქედს მოვიხრი შენს წინაშე კოლხავ,
შენი სითბო ჩამებუდა სულში,
კოლხიდელთა მაჯისცემა რომ ხარ,
ამიტომაც ჩაგიკონე გულში.

*****

მიყვარს ფაცხა მეგრული

მიყვარს ფაცხა მეგრული
შუა ცეცხლის კერია,
ლანჭა ჩამოკიდული'
გაჭვარტლული ჭერია.
ღორის შაშხი მოხარშული,
გუდის ყველი წიწაკით,
კარდილაში ელარჯი
ჩაზელილი კირზაკით.
საწნახელში მაჭარი
ხიტკით ამოღებული.
ნალვერდალზე ქათამი
წკირზე ალმოდებული.
გუდა ყველი ნისორზე,
მოლესილი ლობიო,
ვაზის ტკბილი მტევანით
სავსე დიდი გობიო.
შუა ცეცხლთან ტაბაკი,
თხმელის ჯორკო დაბალი,
ღვინით სავსე ორკოლი,
ოჩოფეხა ხარკალი.
ოდიშური ფერხული,
ოდოია ნადური,
ტკბილად ამღერებული
ჩონგური და ფანდური.
დედის ნანა ნაღერი,
დარწეული აკვანი,
კაჭიჭის და ადესის
ღვინით სავსე ლაგვანი.
თიხის კეცზე შემწვარი
შებრაწული ჭვიშტარი,
სასიმინდე მაღაზა,
ხის კოპწია ჭიშკარი.
ნისორი და ბარძაში,
ოფეთაში, ჩერია,
მიყვარს ფაცხა მეგრული
შუაცეცხლის კერია.

რუსთველის ეზოთერული ცოდნის ასახვა ,,ვეფხისტყაოსანში" (ძეგლში დაფლული ღვთის საიდუმლოებანი)

,,რუსთველის შეხედულება დიდი სამყაროს, მაკროკოსმოსის შექმნაზე წმინდა ქრისტიანულია, თეისტურია და ბიბლიას ეყრდნობა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რუსთაველის შეხედულება მიკროკოსმოსის, ანუ ადამიანის შექმნაზე; ,,ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა" გულისხმობს ადამიანის შექმნასაც, ანუ კაცისთვის სულის შთაბერვას"-ზვ. გამსახურდია.

რუსთველი, როგორც სულიერად მზად მყოფი, თამარს როგორც ღმერთს ევედრება ეზოთერულ ცოდნასთან ზიარებას, რაც შემდეგ სტროფში გამიხატება

,,აწ ენა მინდა გამოთქმად გული
და ხელოვანება,
ძალი მომეც და შეწევნა, შენგნით
მაქვს მივცე გონება".

,,ენა მინდა გამოთქმად"-საუბარია კაცთაგან დაფარულ ენაზე. რომელი ენა არს ენაი ღვთისა, ,, ზიარება მარადისობის კანონთან" ,,გულითაც და წერის ხელოვნების ნიჭითაც ვარ მზად", ,,ძალი მომეც და შემეწიე", მაკურთხე, რომ შენგან მიღებული ცოდნა, გონება ვაუწყო კაცთა მოდგმას". თამარი აქ წარმოჩენილია არხა როგორც მეფე, არამედ დედაღვთისმშობლის ჰიპოსტაზი მიწიერ ასპექტში, რომელიც ფლობს ზეუნივერსალურ ეზოთერულ ცოდნას. ის აზიარებს ამ ცოდნასთან რუსთაველს, რომელიც შემდგომ ქმნის, ჯერ კიდევ კაცთაგან ბოლომდე ამოუხსნელ ზეუნივერსალურ ძეგლს, პოემა- ,,ვეფხისტყაოსანს". რაც მკაფიო განაცხადია დანარჩენი სამყაროსათვის, რომ ღვთის ეზოთერული ცოდნა, საწყისი, დედა ენა პირველადი კულტურისა არის აქ, იბერიაში! რომ მაღალი სულიერი კულტურის პირველი შემოქმედნი არიან იბერები. მარტო იმად რად ღირს ინდოევროპელების მიერ დღეს შემოგდებული გენდერული თავისუფლების არასრულფასოვანი კანონი, (რომელსაც არავითარი კავშირი არააქვს ჭეშმარიტებასთან (რომელიც ვითომ ,,იცავს" ქალთა უფლებებს მამაკაცთა დაკნინების ხარჯზე, საბოლოოდ კი, არცერთის უფლებები არ არის ძირეულად დაცული. თანასწორობის უფლებები ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში საქართველოში მყარად იყო დაცული, რომლის სათავე, ძირი, პრეისტორიული, იბერიული სამყაროდან მომდინარეობს. როსტევან მეფე გაიგივებულია ღვთისაგან კურთხეულ პირველად კულტურასთან, სულიერ მეფესთან, სადაც რუსთველს სრულყოფილად წარმოჩენილი ჰყავს არაბთა მეფე როსტევანი. რაც შეეხება არაბეთს, ის ალეგორიულ ხასიათს ატარებს, მაგრამ იგი მკაფიოდ მიანიშნებს და ზედმიწევნით ასახავს იბერიულ სამყაროს, რომლის მეფეა როსტევანი, (რაც ასევე შემდეგ სტროფში გამოიხატება)

,,იყო არაბეთს როსტევან, მეფე
ღვთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-
მრავალი ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე,
მორჭმული განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა
მოუბარი წყლიანი".

რომელიც, გახლავთ კანონშემოქმედი, ღვთისაგან დადგენილი, მაგალითი მაღალი ზნეობის, რომელიც სამართლიანად იცავს და კანონის ძალას აძლევს თანასწორობის უფლებებს. რასაც შემდეგი სტროფები გვამცნობენ:

,,თუმცა ქალია ხელმწიფედ, მართ
ღვთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა
უთქმელოდ გვითქვამს კვლადია;
შუქთა მისთვებს საქმეთა მისი
მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს
თუნდაც ხვადია."

(და ეს მაშინ, ძვირფასო მკითხველო, როდესაც დანარჩენი მსოფლიო არ ცნობდა ქალის კულტს, როგორც თანასწორუფლებიანს. ვინაიდან, მათი კულტურა მკვეთრად დაბალ საფეხურზე იდგა, სადაც კანიბალიზმი და გარყვნილება ძლიერ იყო გავრცელებული, ეს იყო მოდგმა ველური აზროვნებისა და მტაცებლური ჟინით შეპყრობილი, ამ მოდგმის შთამომავლები გახლდათ, ასევე მე-XII საუკუნეში და დღემდე, ინდოევროპული რასის ხალხები, რომლებიც დემოკრატიის სახელს ამოფარებულნი დღემდე მართავენ მსოფლიოს, საითკენ, (ჩვენდა სამწუხაროდ) ასე დუჟმორეულნი მიილტვიან ჩვენი ხელისუფალნი. ვახ სიბნელევ თავად ადამიანო!)

როსტევანი მკვეთრად გამოხატავს თავის ურყევ პოზიციას, არ მისდევს უღმთოოთა რჩევებს, არამედ ამხელს მათ და ქალი, რომელიც მართალი ღმერთის დანაბადია აჰყავს ტახტზე. აქ არის სიბრძნე! რასაც შემდეგი სტროფი გვამცნობს:

,,უთქმელოდ გვითქვამს კვლადია ".

საუბარია დედა ქალღმერთზე დიაზე. მესამე ჰიპოსტაზზე სულიწმინდაზე, რაც ძველმეგრულად ,,დია" ნიშნავს დიდი დედას, რაც ეზოთერულად დაფარულ-დაფლულ პირველად დედა ენა ლაზურს ნიშნავს. რომელი ენით სულიწმინდა მეორედ მოსვლის ჟამს ამხელს მსოფლიო ცოდვილ კაცობრიობას, რის შესახებ იოანე ზოსიმე სრულად გადმოსცემს თავის ზეუნივერსალურ ძეგლში ,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი"-ში. (რაც შეეხება ენაი ლაზურს, მის ეტიმოლოგიას, (წარმოშობას) შემდეგ ნაშრომში სრულად და ამომწურავად გაუწყებთ).

,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს
თუნდა ხვადი".

ამ სტროფში ძალზედ მნიშვნელოვანი სიბრძნე დევს, რომლის პასუხი ქალისა და კაცის თანასწორობით არ შემოიფარგლება მხოლოდ!

მოდით ჩავწვდეთ ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის არსს. ერთ-ერთ უდიდეს წმინდანს სხვა აღმსარებლობის მატარებელმა ჰკითხა: ,,რატომ აღიარებს თქვენი სარწმუნოება ღმერთის სამ სახეს?" წმინდა მამამ თხოვა მკითხველს: ,,შეხედეთ მზეს! რისგან შესდგება ის? დაბნეულმა ვერ უპასუხა, მაშინ წმინდანმა მას ასე უპასუხა: ,,თავად მზე შესდგება გარსისგან, სინათლისა და სითბოსაგან, რომელიც სამ სახოვანია, მაგრამ ერთარსება!".

აქედან გამომდინარე ლომი (ბორჯღალო) განასახიერებს მზის გარს, ხვადი სინათლეს; ძუ-სითბოს, სამსახოვანი, მაგრამ ერთ არსება. მამა, ძე და სულიწმინდა. ამიტომ ითვლებიან თანასწორნი. აი, ეს გახლავთ ის სიბრძნე, რის შესახებ რუსთველი როსტევანის ენით ამცნობს კაცობრიობას - ღვთის მარადიული კანონის შესახებ. (რასაც, დღეს) ასე საგულდაგულოდ ეშმაკურად ებღაუჭება თანასწორობის იდეას გზააბნეული ევროპა-დასავლეთი. ასეთივე ვითარება იყო ათასწლეულების მანძილზე. გაბატონებულთა მიერ, სხვადასხვა ეპოქებში ისტორიული და რელიგიური მნიშვნელობის ძეგლებს სხვადასხვა ბინძური მეთოდებით საკუთრად ჰრაცხავდნენ, რაც ღვთის კანონის უხეშ დარღვევად ითვლება-არა იპარო!

ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი და საინტერესოა, როსტევან მეფის დარიგებანი ტახტზე აყვანილი თინათინისადმი.(ცნობისთვის თინათინი თამარის ალეგორიული სახელია, თამარი, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ის ებრაული სახელიდან მომდინარეობს, პირიქით - ძველმეგრული ენიდან. და ის, ასე განიმარტება: ,,თ-ამარ" მისი ძირი ,,ამარ", რაც ძვ. მეგრულად ნიშნავს: ,,აგერ", -,,აქ", რაც გადატანით ასევე ნიშნავს: ცხოვრების ხეს, ადგილს ქველისას??, ქველად რომ წარმოჩენილია თინათინი, რომელიც უხვად გასცემს. საუბარია არა მატერიალურ სიკეთეზე, რაც ასევე უხვად ჰქონდა, არამედ სულიერ საგანძურზე-ცოდნაზე. რასაც შემდეგი სტროფები გარკვევით მიუთითებენ:

,,უბრძანა: ,,ჩემი საჭურჭლე
შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყველაი,
ნაუფლისწულევი",
მოართვეს, გასცა უზომო,
უანგარიშო ულევი"
,,მოიღეს გასცა უზომო, სიუხვე არ
მოსწყენია"

(როსტევანის დარიგებანი ტახტზე აყვანილი თინათინისადმი, ძალზედ საყურადღებო უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ელიტისადმი. თუ მათ პოლიტელიტას ვუწოდებთ,

,,...დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს,
ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენია მასთ
მონდობილი.
მხარიცა ბრძნად მქმნელი საქმის,
იყავ წყნარი და ცნობილი!"
,,ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზეს სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენცა ნუ მოგეწყინების,
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით
ების, ვინ ების
უხვად გასცემდი, ზღვათაცა
შესდის და გაედინების".

ვფიქრობ, მეფე როსტევანის ამ ბრძნულ დარიგებაში ხელმწიფისადმი, პირდაპირ აისახება ღვთაებრივი ცოდნა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სახემწიფოს სწორი მართვისათვის,(რაც სამწუხაროდ, რუსთაველის ქვეყანაში ასე არ ხდება! სადღაც მივქრივართ უაზროდ, ვკარგავთ იერს. ურდოსაგან გადმოგვაქვს ღვთის უარმყოფელი კანონები, მათ ვუთანხმებთ და ისინიც, ,,ჭკუისკოლოფები" ქვეყნის მართვის რეკომენდაციებს უხვად გვაძლევენ, როგორც ,,მეგობრები". მინდა გითხრათ: ამაზე დიდი სიბნელე და ღალატი გინახავთ? და რას ვითხოვთ?! თავისუფლებას? და ის ხომ გვაქვს პროდასავლური და მას მიყოლილი რუსულიც, არ ეკადრების რუსთველის ქვეყანას ასეთი სიბილწე!)

თინათინი გულდასმით უსმენდა მხცოვანი მეფის დარიგებას და ყურად იღებდა ყოველ მის ბრძნულ სიტყვებს, რაც ასევე შემდეგ სტროფში მკაფიოდ აისახება.

,,ამა მამისა სწავლასა ქალი
ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა ისმენდა წვრთასა
არ მოიწყინებდა."
,,თინათინ მზესა წუნობდა, მაგრამ
მზე თინათინობდა".

საინტერესოა ბოლო სტროფი: ,,თინათინ მზესა წუნობდა", საუბარია, როსტევანზე, რომელიც არის, მძლავრი იერის მქონე. თინათინი კი გონების პერსონიფიკაცია, როსტევანი მიეცა სიბერის ჟამს სმასა და ლხენას, რასაც წუნობდა თინათინი, მეფემან როსტევანმა, (მზემ) გაიხარა თავისი შვილის ესოდენ მაღალი არა სიმშვიდეს და ლხინს მიცემული, როგორც შუასაუკუნეებში თანსდევდა ქართველ მეფეებს, არამედ პასუხმგებლობის, შეგნების დონით. და ის, ამით თინათინობდა ე.ი. ხარობდა, თავისი სამშობლოს სანდო ხელში გადაცემისთვის.

იმედს ვიტოვებ, ამ ნაშრომის მიმართ მკითხველი არ დარჩება გულგრილი, არამედ ჩაფიქრდება თავისი სამშობლოს სვებედზე და სწორი ანალიზის შემდეგ, დასკვნასაც სწორს გააკეთებს. ვინაიდან ჩვენი სწორი და სამართლიანი არჩევანით გავიხაროთ, როგორც მეფე როსტევანმა თინათინით.

ნიკოლოზ იბერი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

7ოქტომბერი 2019 წ

ფუთი



ნაპო თოღუა
ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

ჭუჭყი

შეიძლება ხატავ კარგად,
თუ გინდ ცეკვაც გეხერხება,
კაცობაში ჭუჭყი თუ გაქვს,
გამართლება ვერ ხერხდება!!!

******

მოგება

დახლოვანდი გზა იქნება,
ერთმანეთის მორგების!
თუ გინდ ამ გზით არ ვლოდოთ,
დიდი რამის მოგების!

ვინავარ?!

მე კი ვიცი ვინა ვარ,
სულაც არა მრწყინავარ,
ერთი თქვენთაგანი ვარ,
თუმც ასაკით წინავარ!

******

დრო!

უმოწყალოდ დრო კი გარბის,
მე კი არსად მეჩქარება,
დროს ჩამოვრჩი, არც ის მინდა,
ჩამორჩება მენანება!

მორალი

როცა მორალს გიკითხავენ,
ცუდი მოსასმენია,
მითუმეტეს ხეპრე თუა,
ხეპრესი აქვს გენია!
რა უნდა ქნა?
ვერას გეტყვი!
აქ რეცეპტი ძნელია!
ძირითადში გადაწყვეტა,
მართებულად შენია!

სპორტი... სპორტი... სპორტი...სპორტი...სპორტი...სპორტი...სპორტი...

ფოთელი სპორტსმენი ელიზბარ თურქია მსოფლიო ჩემპიონია!

ქ. ტაშკენტში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ჭიდაობა სამბოში ჭაბუკებს შორის, 65კგ. წონით კატეგორიაში, ფოთელი 18 წლის ელიზბარ თურქია ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ელიზბარ თურქიამ ფინალურ ორთაბრძოლაში რუსი გამოცდილი მოჭიდავე, მსოფლიო და ევროპის პრიზიორი დაამარცხა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს სპორტსმენს,მის მწვრთნელებს -კონსტანტინე ხუბუტიას, ზურაბ ძაძამიას და სკოლის მენეჯერეს გრიგოლ გუგუშვილს მიღწეულ წარმატებას და შემდგომ გამარჯვებებს უსურვებს.

ფეხბურთში საქართველოს ნაკრებმა გიბრალტარი დაამარცხა

ევრო 2020-ის შესარჩევი ციკლის მეშვიდე შეხვედრაში საქართველოს ნაკრები გიბრალტარს ესტუმრა და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მატჩის ბოლოს გატანილი გოლით დაამარცხა. ანგარიში მეათე წუთზე საქართველომ გახსნა. შენგელიას მშვენიერი გადაცემით „ჯვაროსნების“ ფორმით პირველი გოლი ხარაიშვილმა გაიტანა.

21-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთა კარი მეორედ აიღო. შორი მანძილიდან ჩვენი გუნდის კაპიტანმა ჯაბა კანკავამ ძლიერად და ეფექტურად დაარტყა 0:2. მეორე ნახევარი საქართველოს ნაკრებმა აშკარად ჩააგდო, 66-ე წუთზე ჩვენი დაცვის ჩავარდნით ლი კაშარომ ისარგებლა.

74-ე წუთზე წონასწორობა გუნდის კაპიტანმა, როი ჩიპოლინამ აღადგინა, 84-ე წუთზე ლევან შენგელიას გადაცემით მასპინძელთა კარი გიორგი ქვილითაიამ აიღო და საბოლოო ანგარიში 2:3 დააფიქსირა.

მძლეოსნობა

12 ოქტომბერს ხობში გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის პირველობა მძლეოსნობაში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 6 ფოთელი მძლეოსანი.

2003-2004-2005 წელს დაბადებულთა შორის ლუკა ფაციამ100 მ. დისტანციაზე გარბენში მოიპოვა III ადგილი, შედეგი 12,56 წმ.

ალექს აივაზიანმა - 400 მ. დისტანციაზე გარბენში III ადგილი, შედეგი 1,00 წთ.

დიმა კირეევმა - 800 მ. დისტანციაზე გარბენში I ადგილი, შედეგი 2წთ18 წმ.

დიდებში:

ნიკო ჩაგანავამ მოიპოვა 800 მ. დისტანციაზე გარბენში I ადგილი, შედეგი 2წთ12წმ.

საბა მარდანიამ - 400 მ. დისტანციაზე გარბენში I ადგილი, შედეგი 56წთ 30წმ.

ქალაქ ფოთის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მიღწეულ წარმატებას ულოცავს სპორტსმენებს და მათ მწვრთნელს ჯეირან ხოფერიას.

კალათბურთი

მიმდინარე წლის 18-20 ოქტომბერს საკალათბურთო დარბაზში გაიმართა ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ზაზა ფაჩულიას აკადემიის ,,ზაზა-2''-ის, სენაკის ,,სენაკის'', ოზურგეთის ,,გურიის'' და ფოთის ,,ირაო''ს-2006 წელს დაბადებულ ნორჩ კალათბურთელთა გუნდებმა. ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩინებულად იასპარეზეს და მოიპოვეს გამარჯვება. მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა ,,ზაზა-2''-მა, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ოზურგეთის გუნდს ,,გურია''-ს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მიღწეულ წარმატებას ულოცავს კალათბურთელებსა და მათ მწვრთნელს როლანდ გარუჩავას.

ნანა ალექსანდრიას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ლეგენდარულ ქართველ ქალ მოჭადრაკეთა გუნდის წევრის, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონის, ნანა ალექსანდრიას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა!

ნანა ალექსანდრიამ, როგორც საჭადრაკო მოღვაწემ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჭადრაკის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. 1971 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ეროვნული სასახლის საჭადრაკო სკოლას. 16 წელი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციაში ქალთა ჭადრაკის კომისიას ხელმძღვანელობდა. იყო, ევროსაბჭოში საქართველოს ეროვნული ელჩი სპორტში, ტოლერანტობასა და სამართლიან თამაშში. მისი მოღვაწეობის შედეგია ქალთა საჭადრაკო ოსკარის შემოღება, გოგონათა ასაკობრივი მსოფლიო ჩემპიონატების და ევროპის ქალთა საკლუბო თასის შემოღება.

ნანა ალექსანდრიამ მისასალმებელ სიტყვაში,სტუმრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და საჭადრაკო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ისტორიები.გაიხსენა

იუბილარს მიესალმნენ, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი ნანა იოსლეიანი, ეროვნული სასახლის დირექტორი თიკა რუხაძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე და სხვა სტუმრები. ფოთელების სახელით ლეგენდარულ მოჭადრაკეს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დირექტორმა, თენგიზ ხუხიამ იუბილე მიულოცა და სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

საიუბილეო საღამოზე, ნანა ალექსანდრიას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საჭადრაკო ფესტივალ - „ნანა ალექსანდრიას თასი“-ის გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა.

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის 1-ლი ლიგის მე-5 ტურის

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის 1-ლი ლიგის მე-5 ტურის მატჩები ზუგდიდის “დადიანთან” ფოთის საჭადრაკო კლუბი “ნანა”-ს გამარჯვებით დასრულდა. პირველი მატჩი ფოთელმა მოჭადრაკეებმა დიდი ანგარიშით: 6,5 :1,5 ქულით მოიგეს. მეორე მატჩი კი, დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და ჩვენმა კლუბმა 4,5 : 3,5 ქულით გაიმარჯვა. კლუბი “ნანა” მორიგ მატჩს 2 ნოემბერს, ამბროლაურის კლუბთან კვლავ ფოთში გამართავს. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ტურნირი “ნონა გაფრინდაშვილის თასი” ფოთელი მოჭადრაკეების ბრწყინვალე შედეგით დასრულდა. ელენე წოწონავამ, ბ ღია ტურნირში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა და ნონა გაფრინდაშვილის თასის მფლობელი გახდა. 14 წლის ელენე წარმატებულ სეზონს ატარებს. ის გუშინ ინდოეთის ქალაქ ნიუ დელიში ჩაფრინდა, სადაც 20 წლამდელთა მსოფლი ჩემპიონატში იასპარეზებს.

მურმან მალანიამ 200მ დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

კვიპროსის საერთაშორისო რეგატა დასრულდა, საქართველოს ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა და მოიპოვა 6 ოქროს , 6 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი .

წარმატებით იასპარეზა ფოთელმა მურმან მალანიამ, მან 200მ დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლი კი გია გაბედავას ერგო.

ბაიდარკა ერთიანი 200 მ. ლუკა დობორჯგინიძე მე-3 ადგილი .

კანოე ერთიანი გოგოები : ლიდია სულაბერიძე 200 და 500 მეტრ დისტანციაზე ვერცხლის მედალი .

ბაიდარკა ორიანი : 500 მეტრი დისტანცია სერგი ბერიკაშვილი/ ილია ზარიძე მე-2 ადგილი ვერცხლის მედალი .

დამბის ტბაზე სპორტულ თევზჭერაში ტურნირი ჩაატარა

ფოთში ე.წ დამბის ტბაზე საქართველოს სპინინგის თევზჭერის ფედერაციამ სპორტულ თევზჭერაში ტურნირი ჩაატარა, სადაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან 20-მდე, როგორც პროფესიონალი, ასევე მოყვარული სპინინგისტი იღებდა მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ტურნირს მსაჯობდა ფოთის მეთევზეთა კლუბ ,,ფაზისის“ წარმომადგენელი გიგა პარკაია. 1 ადგილი ქუთაისელმა მიხეილ კაპანაძემ მოიპოვა. 2 ადგილი თბილისელ გოგა ტურაშვილს ერგო. 3 ადგილზე კი სამტრედიელი თორნიკე ნუცუბიძე გავიდა. ტურნირი ,,დაიჭირე -გაუშვის“ პრინციპით მიმდინარეობდა და მისი მსვლელობისას დაჭერილი 100-ზე მეტი თევზი გაზომვის პროცედურის შემდეგ ბუნებრივ გარემოს დაუბრუნდა.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“ E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა